დანართი 1

განახლება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
მმართველი საბჭოს დადგენილება #04, 14/05/2025

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების

წესი

თბილისი

2025

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. კვლევითი საქმიანობა 3

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მიზანი და გაცემის პროცედურა 4

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები 5

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მართვა 6

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების წყარო 6

მუხლი 7. საგრანტო პროექტის დაფინანსებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია 7

მუხლი 8. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების კომისიის მუშაობის სპეციფიკა, პროექტების შეფასებისა და გასაჩივრების პროცედურა 7

მუხლი 9. საგრანტო პროექტების მონიტორინგი 10

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი 11

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები 11

მუხლი 12. დასკვნითი დებულება 12

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. კვლევის შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების წესი (შემდგომში ,,წესი“) ადგენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის გრანტების გაცემის პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც ხდება შპს ***„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს*** მიერ (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) შიდა დაფინანსების (შემდგომში - ,,გრანტი“) გაცემა;

1.2. წინამდებარე წესი ადგენს სამეცნიერო-კვლევითი “შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის” ღია და სამართლიან პროცედურებს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საჯაროობას, გამჭვირვალობასა და სამართლიანობას;

1.3. წინამდებარე წესი ემსახურება უნივერსიტეტის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

მუხლი 2. კვლევითი საქმიანობა

2.1. კვლევითი საქმიანობა მოიცავს:

2.1.1. ფუნდამენტურ კვლევას:

ა) რეფერირებად გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია;
ბ) გამოქვეყნებული მონოგრაფია;
გ) სამეცნიერო წიგნის/წიგნის თავის ავტორობა/თანაავტორობა;
დ) სამეცნიერო შეხვედრების, კონფერენციების მასალების კრებულში სტატიის გამოქვეყნება;
ე) ნაშრომის წარდგენა სამეცნიერო სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, კვლევით სემინარზე;
ვ) სამეცნიერო გამოცემის, გამოცემის ცალკეული თავების და ქვეთავების რედაქტირება.

2.1.2. გამოყენებით კვლევას:

ა) სამეცნიერო სტატიის მომზადება და ჟურნალში, გაზეთში ან ელექტრონულ გამოცემაში გამოქვეყნება;
ბ) სამეცნიერო წიგნის/წიგნის თავის ავტორობა/თანაავტორობა;
გ) მნიშვნელოვანი წვლილი პროფესიული დარგის განვითარებაში;
დ) მნიშვნელოვანი პრეზენტაციები სფეროს პროფესიულ შეხვედრებზე, კონფერენციებზე;
ე) პროფესიული წიგნის, ჟურნალის, გაზეთის ან ელ-გამოცემის რედაქტორობა.

2.1.3. სწავლის, სწავლებისა და პედაგოგიური საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებულ კვლევას:

ა) ქეისების (კაზუსების) მომზადება;
ბ) სასწავლო გზამკვლევის შექმნა;
გ) სახელმძღვანელოების დაწერა/თარგმნა/რედაქტირება;
დ) სახელმძღვანელოს თავის შემუშავება;
ე) სასწავლო მასალის, გზამკვლევის ან/და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისთვის საჭირო კვლევა;
ვ) ტრენინგის მასალის შექმნა.

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მიზანი და გაცემის პროცედურა

3.1. შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მიზანია:

3.1.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარება და პროდუქტიულობის გაზრდა;

3.1.2. სამეცნიერო-კვლევითი უნარებისა და პროცესის განვითარების უზრუნველყოფა და მხარდაჭერა;

3.1.3. აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტურის სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირება, წახალისება და მხარდაჭერა;

3.1.4. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში დაწესებულების აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტურის სტუდენტების ინტეგრირების ხელშეწყობა;

3.1.5. კვლევით აქტივობებსა და პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა;

3.1.6. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში დაწესებულების აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტურის სტუდენტების ინტეგრირების ხელშეწყობა;

3.2. შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი გრანტების გაცემის პროცედურა:

3.2.1.სამეცნიერო-კვლევითი პროექტი უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო მიმართულებებს;

3.2.2.სამეცნიერო-კვლევითი პროექტი უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის სახელით;

3.2.3.საგრანტო განაცხადის წარდგენიდან კვლევის დასრულებამდე გრანტის ყველა მონაწილეზე ვრცელდება უნივერსიტეტის ეთიკისა და აკადემიური პატიოსნების სტანდარტები;

3.2.4.სამეცნიერო-კვლევითი გრანტების გაცემა ხდება ღია, გამჭვირვალე კონკურსის გზით;

3.2.5.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ინდივიდუალურად ან/და ჯგუფურად;

3.2.6.წიგნის ბეჭდვის/თარგმნის განაცხადის წარდგენის შემთხვევაში, შესაბამისი სკოლა ადასტურებს საგრანტო პროექტის მნიშვნელობას სასწავლო პროცესში მისი ინტეგრირების მიზნით;

3.2.7. დაფინანსების მაძიებელი ინდივიდუალური პირი შეიძლება იყოს:

ა) უსდ-თან აფილირებული პერსონალი;

ბ) უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ცენტრები

გ) დოქტორანტურის სტუდენტები;

დ) მაგისტრატურის სტუდენტები;

3.2.8. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდში დაფინანსების მიმღები/მკვლევარი უნდა იყოს დაწესებულების აფილირებული პერსონალი;

3.2.9.თუ დაფინანსების მაძიებელი მკვლევართა ჯგუფია, მაშინ კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი (მთავარი მკვლევარი) უნდა იყოს დაწესებულებასთან აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი);

3.2.10. საგრანტო პროექტში გამარჯვებული პირი არ შეიძლება მონაწილეობდეს ერთდროულად ორზე მეტ პროექტში;

3.2.11.პროექტის ავტორის დარიცხული ჰონორარი არ უნდა აღემატებოდეს პროექტის 30%-ს;

3.2.12. პროექტის ჯგუფურად განხორციელების შემთხვევაში, თუ ჯგუფური პროექტის თანაავტორი არის სხვა უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი, მისი ჰონორარის ანაზღაურება მოხდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეასრულებს მხოლოდ გარკვეული სახის მომსახურებას, კონსულტირებას და არ მოხდება მისი დაფიქსირება სამეცნიერო პროდუქტის თანაავტორად;

3.2.13. დაფინანსების მაძიებელი პასუხისმგებელია დადგენილ ვადებში პროექტის განხორციელებაზე, მიღებული დაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობაზე და პროექტის დასრულების შემდგომ დასკვნითი ანგარიშის წარმოდგენაზე;

3.2.14. შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსებაზე სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საგრანტო განაცხადების შემოტანა შესაძლებელია ღია წესით გამოცხადებულ კონკურსზე, რომელიც გაიმართება წელიწადში არანაკლებ ერთხელ;

3.2.15. თითოეული სამეცნიერო-კვლევითი პროექტისთვის შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების მაქსიმალური თანხა (ბიუჯეტი) შეადგენს 15,000 ლარს კვლევითი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე;

3.2.16. თითოეული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსების დამტკიცებიდან მაქსიმუმ ორი წელი;

3.2.17. სამეცნიერო-კვლევითი გრანტის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებენ 5.1 პუნქტით განსაზღვრული პირები; დადებით გადაწყვეტილებას სამეცნიერო-კვლევითი გრანტის გაცემის აღსასრულებლად პრორექტორი კვლევით დარგში წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, რის საფუძველზეც გამოიცემა რექტორის ბრძანება;

3.3. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული საგრანტო/დაფინანსების ხელშეკრულებების გაფორმებას იურიდიული სამსახურის ჩართულობით უზრუნველყოფს პრორექტორი ფინანსურ დარგში.

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები

4.1. კვლევის შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

4.1.1 საგრანტო კონკურსის გამოცხადება;

4.1.2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემფასებელი საკონკურსო კომისიის (გარე ექსპერტების) ფორმირება;

4.1.3. საგრანტო განაცხადების მიღება;

4.1.4. საგრანტო განაცხადების განხილვა და შეფასება;

4.1.5. შემფასებელი კომისიის/გარე ექსპერტების მიერ გადაწყვეტილების მიღება;

4.1.6. აპელაციის შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის შექმნა, პროექტების ხელახალი განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;

4.1.7. შედეგების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

4.1.8. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება;

4.1.9. საგრანტო პროექტის დაფინანსება;

4.1.10. საგრანტო პროექტის განხორციელების მონიტორინგი.

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მართვა

5.1. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მართვას უზრუნველყოფს პრორექტორი კვლევით დარგში კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურის, ფინანსური დეპარტამენტისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის ჩართულობით;

5.2. სამეცნიერო-კვლევითი გრანტი უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ კვლევით პრიორიტეტებს;

5.3. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო შეიცვალა პროექტის განხორციელების გარემოება, პროექტის ხელმძღვანელს უფლება აქვს, მოითხოვოს ცვლილება შემდგომი ეტაპის განხორციელებისთვის; კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახური განიხილავს აღნიშნულ მოთხოვნას და მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რომლის შესახებაც ეცნობება ყველა დაინტერესებულ მხარეს;

5.4. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების ადმინისტრირების მიზნით, ფინანსური დეპარტამენტის ჩართულობით, პრორექტორი კვლევით დარგში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი წლიური დაფინანსების ფარგლებში გრანტების გადანაწილების წლიური სქემის მომზადებას უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის გათვალისწინებით.

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების წყარო

6.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტი ადგენს ყოველწლიურ ბიუჯეტს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების წყაროს წარმოადგენს უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა, რომლის ათვისებაც ხდება წლის განმავლობაში ეტაპობრივად;

6.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის საბიუჯეტო სახსრების ფინანსურ მხარდაჭერას, აკუმულირებას, ხარჯვას და მონიტორინგს განკარგავს უნივერსიტეტის ფინანსური დეპარტამენტი;

მუხლი 7. საგრანტო პროექტის დაფინანსებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

7.1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების განაცხადი (დანართი #1), რომელიც მოიცავს:

ა) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესახებ ინფორმაციას/აღწერას (მოკლე რეზიუმე ინგლისურად), ნათლად ჩამოყალიბებული მიზნების (რომელიც თავსებადია უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან), ამოცანების, კვლევის შედეგების, კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციისა და პრაქტიკაში ინტეგრირების მითითებით;

ბ) სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართულ პირთა შესახებ ინფორმაციას (დოკუმენტებითურთ/დადასტურებები: კვლევით პროექტში ჩართულ პირთა CV, სტუდენტის შემთხვევაში, ცნობა სტუდენტის სტატუსის, სწავლების სემესტრის და აკადემიური მოსწრების შესახებ, სხვა);

გ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულყოფილად შესასრულებლად საჭირო აქტივობების დროში გაწერილ გეგმას;

დ) თანხმობის წერილს უნივერსიტეტიდან მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში);

ე) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სავარაუდო ბიუჯეტს.

7.2. წინამდებარე მუხლის 7.1. პუნქტში მითითებული დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურში, დალუქულ კონვერტში საკონკურსო დოკუმენტების წარდგენისთვის დადგენილ ვადაში (საკონკურსო დოკუმენტების მიღების ვადის ამოწურვისთანავე საკონკურსო დოკუმენტები გადაეცემა საკონკურსო კომისიას/გარე ექსპერტებს);

მუხლი 8. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების კომისიის მუშაობის სპეციფიკა, პროექტების შეფასებისა და გასაჩივრების პროცედურა

8.1. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების კომისიის მუშაობის სპეციფიკა:

8.1.1. საგრანტო პროექტების დაფინანსების განაცხადების წარმოდგენის შემდეგ, კვლევით დარგში პრორექტორის აქტიური ჩართულობით, კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახური ქმნის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემფასებელ დროებით კომისიას/იწვევს გარე ექსპერტებს;

8.1.2. შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესაფასებლად დადგენილია შეფასების მექანიზმი და კრიტერიუმები (დანართი #2);

8.1.3. კომისია უზრუნველყოფს გამარჯვებული პროექტების მიუკერძოებლად გამოვლენას ავტორების ანონიმურობისა და შეფასების ფარულობის დაცვით;

8.1.4. კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახური უზრუნველყოფს პროექტების შემფასებელი დროებითი კომისიის გამართულ მუშაობას;

8.1.5. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემფასებელ კომისიაში შედიან:

ა) პრორექტორი კვლევით დარგში;

ბ) კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი;

გ) სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;

დ) სკოლის დეკანი, რომლის კურატორობის სფეროც მოიცავს მოცემულ კვლევით საქმიანობას;

ე) კვლევითი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი ერთი ან ორი ექსპერტი (მათ შორის პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების/დარგის გათვალისწინებით);

ვ) უნივერსიტეტის ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი;

ზ) მხოლოდ გარე დამოუკიდებელი ექსპერტები (დარგის სპეციალისტები).

8.2. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების შეფასება:

8.2.1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისია არის დროებითი, მისი უფლებამოსილება წყდება კონკურსის შედეგების გამოცხადებისთანავე; კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე წესის საფუძველზე და ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის, ობიექტურობის და სამართლიანობის პრინციპები და უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური ეთიკის სტანდარტები;

8.2.2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისიის წევრებს/გარე ექსპერტებს გასაცნობად გადაეცემათ ყველა წარმოდგენილი პროექტი კოდირებული სახით და თანდართული დოკუმენტაცია; კომისიის ყველა წევრი/გარე ექსპერტი ვალდებულია შეისწავლოს თითოეული პროექტი და წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა;

8.2.3. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია პროექტების განხილვის დაწყებამდე კომისიას განუცხადოს იმ გარემოებების თაობაზე, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტების ობიექტურად განხილვასა და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში; ხოლო ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში, განაცხადოს თვითაცილების შესახებ;

8.2.4. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობს პირი, რომელიც წარმოდგენილი პროექტის ხელმძღვანელია;

8.2.5. კომისიის სხდომა არის დახურული და გადაწყვეტილებას იღებს განხილვაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრით; კომისიის თავმჯდომარის/კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარეს/მდივანს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით;

8.2.6. კომისიის მუშაობა და გადაწყვეტილებები აისახება წერილობით სხდომის ოქმში, რომელშიც მიეთითება: კომისიის დასახელება; სხდომის თარიღი და ადგილი; სხდომის თავმჯდომარის, მდივნის და წევრების ვინაობა; დღის წესრიგი; გამოთქმული მოსაზრებები/კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება; ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი;

8.2.7. წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით (დანართი #2), კომისია/გარე ექსპერტი აფასებს თითოეულ პროექტს, გამოავლენს გამარჯვებულ პროექტს (რიგითობის მითითებით): საუკეთესოდ მიიჩნევა სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელმაც მოიპოვა ყველაზე მაღალი შეფასება და დაიკავა პირველი ადგილი; კომისია ამზადებს შესაბამის დასკვნას / სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემფასებელ გარე ექსპერტებს (დარგის სპეციალისტებს) შესაფასებლად გადაეცემათ კოდირებული პროექტ(ებ)ი და თანდართული დოკუმენტაცია; თითოეული ექსპერტი ვალდებულია შეისწავლოს და შეაფასოს პროექტი წინასწარ გადაგზავნილი შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით; კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურს წარედგინება წერილობითი დასკვნა და პროექტის შეფასება, რის საფუძველზეც 8.1.5. პუნქტით გათვალისწინებული პირები შეარჩევენ ყველაზე მაღალი შეფასების მქონე პროექტებს;

8.2.8. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემფასებელი კომისიის/ექსპერტების დასკვნა შესაბამისი რეკომენდაციით ელექტრონულად ეგზავნება სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ავტორს და პრორექტორს კვლევით დარგში, რომელიც თავის მხრივ, მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში საბოლოო შეფასებას უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად;

8.3. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების გასაჩივრების პროცედურა:

8.3.1. თუ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ავტორი/დაფინანსების მაძიებელი არ ეთანხმება დროებითი კომისიის დასკვნას, მას აქვს სამი სამუშაო დღის ვადა, რათა გაასაჩივროს დასკვნა შესაბამისი განცხადებით უნივერსიტეტის პრორექტორთან კვლევით დარგში;

ა) დასკვნის გასაჩივრების შემთხვევაში, რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სამეცნიერო-კვლევითი გრანტების გასაჩივრების დროებითი სააპელაციო კომისია, რომელშიც შედიან:

1) პრორექტორი კვლევით დარგში;
2) უნივერსიტეტის ომბუდსმენი;
3) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საქმიანობის სფეროსთან (შესაბამისი დარგი) დაკავშირებული დამოუკიდებელი ექსპერტ(ებ)ი/დარგის სპეციალისტ(ებ)ი, რომელიც არ იყო დროებითი კომისიის წევრი;

ბ) დროებითი სააპელაციო კომისია განიხილავს საკითხს და გამოიტანს საბოლოო დასკვნას, რომელსაც ელექტრონულად უგზავნის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ავტორს/დაფინანსების მაძიებელს, პრორექტორს კვლევით დარგში და უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად;

8.3.2. უნივერსიტეტის რექტორის მიერ პროექტის დაფინანსებაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რექტორის ბრძანება ეგზავნება ფინანსურ დეპარტამენტს და პრორექტორს კვლევით დარგში;

8.3.3. ფინანსური დეპარტამენტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი პროექტისთვის გამოყოფილი ლიმიტების გადამოწმების შედეგად ხდება დაფინანსების მიმღები პირისთვის შესაბამისი თანხების გამოყოფა;

8.3.4. იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების პროცესი მოიცავს რამოდენიმე ეტაპს, გამოყოფილი თანხა გაიცემა ტრანშებად წინასწარ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სადაც გაიწერება მხარეთა უფლება-მოვალეობანი და დაფინანსებული თანხების ჩარიცხვის ვადები;

8.3.5. დაფინანსების მიმღები პირი პასუხისმგებელია პროექტის წარმატებით მიმდინარეობასა და მიღებული დაფინანსების მიზნობრივ გახარჯვაზე.

მუხლი 9. საგრანტო პროექტების მონიტორინგი

9.1. სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების საქმიანობის მიმდინარეობა/ განხორციელება/შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახური. კერძოდ, მონიტორინგს ექვემდებარება:

ა) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი გეგმიური ლიმიტი/სავარაუდო ბიუჯეტი;

ბ) ანგარიშის მომზადების თარიღისთვის ფაქტიურ გახარჯვებზე ინფორმაცია;

გ) კვარტლის/წლის ჭრილში, გეგმიური და ფაქტიური მონაცემების დადარება;

დ) დარჩენილი ასათვისებელი თანხების შესახებ ინფორმაცია.

9.2. თუ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსება რამოდენიმე ტრანშად არის დაგეგმილი, მაშინ დაფინანსების მიმღები პირი ვალდებულია, ყოველი მომდევნო ტრანშის მოთხოვნის ვადამდე ორი კვირით ადრე წარუდგინოს კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმდინარეობის შუალედური ანგარიში;

9.3. თუ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსება ერთ-ტრანშად ხდება, მაგრამ პროექტის დასრულება და შედეგების მიღება სცდება 6 თვეს, მაშინ დაფინანსების მიმღები პირი ვალდებულია პროექტის დაფინანსებიდან ყოველ 6 თვეში წარუდგინოს კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმდინარეობის ანგარიში;

9.4. კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახური დაფინანსების მიმღებ პირთან ერთად ახდენს პროექტის გადახედვას, მისი ეფექტურად და წარმატებით შესრულების მიზნით; აფასებს პროექტის მიმდინარეობას და ადგენს შესაბამის დასკვნას; დასკვნითი ანგარიშები წარედგინება კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურს და პრორექტორს კვლევით დარგში;

9.5. კვლევის დასრულების შემდგომ, დაფინანსების მიმღები პირი წერს საბოლოო ანგარიშს, რომელიც მოიცავს:

ა) განაცხადში გაწერილი მიზნებისა და შედეგების მიღწევის შესახებ ინფორმაციას;

ბ) ფინანსურ ანგარიშს, გამოყოფილი თანხების გახარჯვის მოკლე აღწერით.

9.6. დაფინანსების მიმღები პირის მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშის საფუძველზე კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და პრორექტორი ფინანსურ დარგში შესრულებული პროექტის შესახებ საბოლოო დასკვნას ელექტრონულად

უგზავნის პრორექტორს კვლევით დარგში, რომელიც ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორთან;

9.7. კვლევითი პროექტის დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი;

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი

10.1. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება შემთხვევები, როდესაც დაფინანსების მაძიებელი პირი ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნათესავთა წრე აღნიშნული პროექტით იღებს ფინანსურ ან სხვა სახის სარგებელს.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

11.1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დასრულებამდე პროექტში მონაწილეობის შეწყვეტა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პროექტში მონაწილე პირის წერილობითი განცხადება;

ბ) აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა და ახალი შრომითი ხელშეკრულების არარსებობა;

გ) მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტის შემთხვევაში, განათლების მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა (გარე მობილობით სარგებლობა);

დ) აკადემიური ეთიკის დარღვევა (პლაგიატი, მონაცემთა/ინფორმაციის ფალსიფიცირება, სხვ.);

ე) ზემოთ მითითებულ შემთხვევებში პროექტის ხელმძღვანელი უფლებამოსილია წარუდგინოს პრორექტორს კვლევით დარგში შესაბამისი პროექტის სხვა მონაწილის კანდიდატურა, რომელიც პასუხობს სამეცნიერო-კვლევითი პროექტით დადგენილ მოთხოვნებს და თანხმობის შემთხვევაში აფორმებს შესაბამის შრომით ხელშეკრულებას;

ვ) აღნიშნული წესების, საგრანტო კონკურსის პირობების და/ან სხვა მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, პრორექტორი კვლევით დარგში წერილობით აფრთხილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის წარმომადგენელს/ხელმძღვანელს და გონივრულ ვადას აძლევს ხარვეზის აღმოსაფხვრელად და/ან მოითხოვს პროექტის შეჩერებას;

მუხლი 12. დასკვნითი დებულება

12.1. შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი გრანტების გაცემის ცალკეული პროცედურული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შეიძლება შეიმუშავოს პრორექტორმა კვლევით დარგში და ამ წესში ასახვის მიზნით წინადადების სახით წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს;

12.2 ფინანსური დეპარტამენტი უფლებამოსილია კვლევის ხელშეწყობის და პროექტების მართვის სამსახურის მიერ წარდგენილი სრულყოფილი ანგარიშგების საფუძველზე მოახდინოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება;

12.3. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ საგრანტო პროექტის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესრულებულია და პროექტის დასრულების მომენტში წარდგენილია შუალედური ანგარიში/პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი;

12.4.წინამდებარე დებულება ძალაში შედის რექტორის მიერ მისი დამტკიცებისთანავე; ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება წინამდებარე დოკუმენტში შედის მისი მიღებისათვის დადგენილი წესით.